# ალგებრა

1. ერთი ნაყინის ფასია 2,4 ლარი, ერთი ბოთლი კოკა-კოლას ფასი კი - 3,6 ლარი. რამდენი ლარია საჭირო x ცალი ნაყინის და y ბოთლი კოკა-კოლას საყიდლად?
2. მართკუთხედის ერთი გვერდია a სმ, ხოლო მეორე 3 სმ-ით მეტია პირველ გვერდზე. შეადგინე მართკუთხედის პერიმეტრის გამოსათვლელი გამოსახულება.
3. მარიამს x წიგნი აქვს, გიორგის 4-ჯერ მეტი, ვიდრე მარიამს, ხოლო დემნას კი 7-ით ნაკლები, ვიდრე გიორგის. შეადგინეთ გამოსახულება, რომელიც გვიჩვენებს, სულ რამდენი წიგნი აქვს სამივეს.

1) (2,4 x + 3,6 y) ლარი

2) 2(a + a +3) = 2a + 2a + 6 = 4a + 6

3) x + 4x + 4x - 7 = 9x - 7

1. მოცემულია ორი მრავალწევრი 2a3 – 5a2 + 3a – 1 და a3 + 5a2 – 3a – 2. შეასრულეთ მოქმედება და გაამარტივეთ:
ა) ამ მრავალწევრების ჯამი;
ბ) პირველი და მეორე მრავალწევრის სხვაობა;
გ) მეორე და პირველი მრავალწევრის სხვაობა;

ა) 3a3 – 3
ბ) a3 – 10a2 + 6a + 1
გ) – 2a3 + 10a2 – 6a – 1

2. იპოვეთ 10a - 3b გამოსახულების მნიშვნელობა, თუ a = 0,2 და b = -1,4.

10 · 0,2 − 3 · (− 1,4) = 2 + 4,2 = 6,2